

შპს სადო

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## ძირითადი საქმიანობა

შპს "სადო" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2011 წლის 30 მაისს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N11. კომპანიის დამფუძნებლები არიან თემურ ლევკეიშვილი (3/6 01001003053) – 50%-იანი წილით და გრიგოლ ლევკეიშვილი (3/6 01001010845) – 50%-იანი წილით. საწარმოს დირექტორია გრიგოლ ლევკეიშვილი. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სარესტორნო მომსახურება.

## ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს ეროვნულ ვალუტაში. კომპანიას უცხოურ ვალუტაში ფულის ბრუნვა და ნაშთები არ აქვს.

|                                         | 1/1/2019       | 12/31/2019    |
|-----------------------------------------|----------------|---------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 43 085         | 36 759        |
| ნაღდი ფული საღარიბოში                   | 89 569         | 1 622         |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>132 564</b> | <b>38 382</b> |

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არ გააჩნია. მოთხოვნების სახით კომპანიას დაფიქსირებული აქვს პერიოდის ბოლოს საბანკო ტერმინალებზე გატარებული და ჯერ ბანკისგან ჩაურიცხავი თანხები, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ასახვას ჰპოვებს ტერმინალზე ბარათის გატარებიდან 1-2 დღის შემდგომ.

|                                 | 1/1/2019     | 12/31/2019   |
|---------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 3 140        | 5 367        |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>3 140</b> | <b>5 367</b> |

## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიას წლის დასაწყისში უფიქსირდება მარაგის 3 პოზიცია: ნედლეული რესტორნისათვის, საწვავი და სხვა წვრილმანი ინვენტარი. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. კომპანიაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აისახება თვითღირებულებით, ვინაიდან მარაგები ბრუნავს სწრაფად და გამოიყენება წარმოებაში და მისი გაუფასურების რისკი არ დგება.

|                                           | 1/1/2019      | 12/31/2019    |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| რესტორნის ნედლეული                        | 32 996        | 31 960        |
| საწვავი                                   | 1 984         | 875           |
| სხვა წვრილმანი ინვენტარი                  | 1 690         | 9 369         |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>36 670</b> | <b>42 204</b> |

## ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

### პერიოდის ცვთვის ხარჯი

კომპანიის ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდით.

კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავს მანქანა-დანადგარებს, ოფისის აღჭურვილობას, ავეჯს და ინვენტარს.

### სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კომპანიას სახელფასო ვალდებულებები პერიოდის საწყისი და საბოლოო თარიღებისთვის არ უფიქსირდება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე და ანგარიშსწორების სალდო ბიუჯეტის მიმართ.

|                                                         | 1/1/2019        | 12/31/2019      |
|---------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 22 007          | 18 529          |
| ბიუჯეტის მიმართ არსებული სალდო                          | (73 200)        | (65 635)        |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                      | <b>(51 193)</b> | <b>(47 106)</b> |

### დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დივიდენდის დავალიანება შეადგენს 335 282 ლარს, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით - 232 263 ლარს.



## შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

|                                 | 12/31/2019       |
|---------------------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან        | 1 952 394        |
| გაყიდული მარაგის თვითღირებულება | (771 730)        |
| <b>სულ წმინდა შემოსავალი</b>    | <b>1 180 664</b> |

## ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, იჯარის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

|                                                      | 12/31/2019     |
|------------------------------------------------------|----------------|
| ხელფასის ხარჯი                                       | 438 193        |
| იჯარის ხარჯი                                         | 102 034        |
| კომუნალური ხარჯი                                     | 58 222         |
| საკანცელარიო ხარჯი                                   | 1 092          |
| საკონსულტაციო ხარჯი                                  | 14 746         |
| საბანკო ხარჯი                                        | 18 265         |
| რემონტის ხარჯი                                       | 2 838          |
| ცვეთის ხარჯი                                         | 16 401         |
| საგადასახადო ხარჯი (ქონების და მოგების გადასახადები) | 77 823         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                           | 34 170         |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b>           | <b>763 784</b> |

## არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავლებში კომპანიას უფიქსირდება უსასყიდლოდ მიღებული საქონელი, რომელიც საჩუქრად მოყვება მომწოდებლებისგან ცალკეულ შემთხვევებში მოწოდებულ პროდუქციას. უსასყიდლოდ მიღებული იქნა 2019 წელს 1 024 ლარის საქონელი. ამასთან, კომპანიის მიერ პერიოდულად ტარდება სამზარეულოს ნედლეულის ინვენტარიზაცია, რის საფუძველზე მიღებული დანაკლისი იბეგრება თანამშრომლებზე მიწოდებად დღ-ის და საშემოსავლოს გადასახადებით, ხოლო მიღებული ზედმეტობა აისახება, როგორც მიღებული არასაოპერაციო შემოსავალი. 2019 წელს აღრიცხული ზედმეტობის თანხა შეადგენს 18 612 ლარს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| შენიშვნა                              | 31.12.2019       | 31.12.2018       |
|---------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი                            | 1 952 394        | 2 144 693        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (771 730)        | (737 422)        |
| <b>საერთო მოგება</b>                  | <b>1 180 664</b> | <b>1 407 271</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | (763 783)        | (816 733)        |
| სხვა შემოსავალი                       |                  |                  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>              | <b>416 881</b>   | <b>590 538</b>   |
| არასაოპერაციო შემოსავალი              | 19 636           | 2 148            |
| არასაოპერაციო ხარჯი                   |                  |                  |
| <b>პერიოდის მოგება</b>                | <b>436 517</b>   | <b>592 686</b>   |
| სხვა სრული შემოსავალი                 |                  |                  |
| <b>სრული შემოსავალი</b>               | <b>436 517</b>   | <b>592 686</b>   |

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი  
დირექტორი

მედეა დაშნიანი

გრიგოლ ლევინიშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                               | 31.12.2019 | 31.12.2018 | 01.01.2018 |
|-----------------------------------------------|------------|------------|------------|
| <b>აქტივები</b>                               |            |            |            |
| გრძელვადიანი აქტივები                         | 99 204     | 111 626    | 111 585    |
| ძირითადი საშუალებები                          | 99 204     | 111 626    | 111 585    |
| სულ გრძელვადიანი აქტივები                     |            |            |            |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |            |            |            |
| მარაგები                                      | 42 204     | 36 669     | 47 285     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 5 367      | 3 140      | 5 549      |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 38 382     | 132 654    | 363 562    |
| სულ მიმდინარე აქტივები                        | 85 953     | 172 463    | 416 396    |
| <b>სულ აქტივები</b>                           | 185 157    | 284 089    | 527 981    |
| <b>საკუთარი აქტივი და ვალდებულებები</b>       |            |            |            |
| საკუთარი კაპიტალი                             |            |            |            |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                   | 232 263    | 335 282    | 548 774    |
| სულ საკუთარი კაპიტალი                         | 232 263    | 335 282    | 548 774    |
| მიმდინარე ვალდებულებები                       |            |            |            |
| დავალიანება ბიუჯეტის მიმართ                   | (65 635)   | (73 200)   | (41 431)   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 18 529     | 22 007     | 20 638     |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                | (47 106)   | (51 193)   | (20 793)   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | 185 157    | 284 089    | 527 981    |

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

მედეა დაშნიანი

გრიგოლ ლევინიშვილი

06.12.2020

